ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

ინსტიტუციური Benchmarking - ი

Benchmarking-ი ინგლისური წარმოშობის სიტყვაა, Bench - ი ნიშნავს დონეს/სიმაღლეს, ხოლო Benchmarking-ი წარმოადგენს მეთოდოლოგიას, რომელიც მიმართულია ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზზე. ეროვნული საბჭო განსაზღვრავს, რომ განათლებაში Benchmarking-ის მეთოდოლოგიით შესაძლებელია მხოლოდ საორიენტაციო მოკლე შეფასებები, რომლებსაც იყენებენ სასწავლო წლის განმავლობაში სხვადასხვა დროს პროგრესის მონიტორინგისთვის.

ნეუ „ეროვნულმა საგანმანათლებლო უნივერსიტეტმა“ Benchmarking-ის მეთოდოლოგიით განახორციელა რამდენიმე საუკეთესო პრაქტიკის იდენტიფიცირება, რომელიც ორიენტირებულია მნიშვნელოვანი გამოცდილების გასააზრებლად და შემდგომ მის გასაზიარებლად. Benchmarking-ით გამოვლენილი რეალობა წარმოადგენს ერთგვარ გზამკვლევს ლიდერი პოზიციის დასაკავებლად უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში. „ნეუ ეროვნულმა საგანმანათლებლო უნივერსიტეტმა“, მიმდინარე წელს, განახორციელა ინსტიტუციური Benchmarking-ი, რომელმაც მოიცვა შესაბამისი საგანმანათლებლო უსდ-ები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. Benchmarking-ის მიზანს წარმოადგენს კონკურენტების წარმატებული გამოცდილების შესწავლა, შეფასება და შესაბამისი მოცემულობის გაზომვა, რათა განხორციელდეს კონკურენტული გარემო ფაქტორების იდენტიფიცირება. უნივერსიტეტმა შეაფასა საკუთარი ადგილი კონკურენტულ გარემო სივრცეში და მოახდინა რეალისტური ანალიზი პროცესების ოპტიმიზაციისათვის. Benchmarking-ი მუდმივად განხორციელებადი პროცესია, რომელიც აიდენტიფიცირებს განსხვავებული და სასურველი ღირებულებების არსებობას კონკურენტულ ინსტიტუციებთან. Benchmarking-ი შეიძლება იყოს ერთჯერადი, მაგრამ მნიშვნელოვანია მისი მუდმივ რეჟიმში აქტივიზაცია, რათა moxdes ლიდერი ინსტიტუციების პოზიციების დინამიკაში გათვალისწინება საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად და რესტრუქტურიზაციის განსახორციელებლად.

როგორც ზემოთ აღინიშნა Benchmarking-ით განხორციელდა რეგიონული და საერთაშორისო ინსტიტუციების სიღრმისეული ანალიზი მათი გამოცდილების შეფასება გაზიარების მიზნით. განხორციელდა წინასწარი მონაცემების შეგროვება კომერციული ონლაინ მონაცემთა ბაზის გამოყენებით, რამაც პრობლემების იდენტიფიცირებისა და ახალი პოტენციალის განსაზღვრის საშუალება მოგვცა კონკურენტი უნივერსიტეტების, სასწავლო უნივერსიტეტებისა და კოლეჯების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების დადარების გზით.

აკადემიური მდგრადობის შესაფასებლად განხორციელდა აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შეფასება და ასევე, სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასება. Benchmarking-ის პროცესში განხორციელდა მიზნობრივ სეგმენტად აღებული კონკურენტი უსდ-ების რესურსების, მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობების, მიღწეული შედეგების, საგანმანათლებლო პროგრამების დადარება იმ საგანმანათლებლო პროგრამებთან, რომელიც თანხვედრაშია „ნეუ ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ საგანმანათლებლო პროგრამებთან. სტუდენტთათვის განსაზვრული მიზნების მისაღწევად კი ასევე Benchmarking-ის ფასეულობათა ქსელში გაიზომა

ინსტიტუციების ლოკაციები, რათა მომხდარიყო პრიორიტეტების მინიჭება შესაბამის სეგმენტზე. გაიზომა სტუდენტთა საერთო რაოდენობა, რაც ასევე მნიშვნელოვან ელემენტად განისაზღვრა დადარების პროცესში. Benchmarking-ის ერთ - ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა, მოგვეხდინა Benchmarking-ის მიზნით განსაზღვრული უნივერსიტეტების რესურსების იდენტიფიცირება, გაგვეანალიზებინა ამ ინსტიტუციების მიერ მიღწეული მდგრადობა და სტაბილურობის იმპლემენტაცია არსებულ შესაძლებლობებთან. Benchmarking-ით, შესაძლებელი გახდა, არა მხოლოდ კოლეჯების ანალიზი, არამედ Benchmarking-ით განხორციელდა უნივერსიტეტების, სასწავლო უნივერსიტეტების განხილვაც.

Benchmarking-ით გაანალიზდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტრატეგიები, საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვნება სასწავლებლების ტიპებისა და პროფილების მიხედვით, აგრეთვე კურიკულუმები. ინსტიტუციამ მიიღო გამოწვევა იმუშაოს მძლავრი კონკურენციის პირობებში, როგორც რეგიონის მასშტაბით, ასევე ევროპასა და მთელს მსოფლიოში, სადაც უმნიშვნელოვანესი ასპექტია ნაკლებად მკაცრი მარეგულირებელი ჩარჩოები, რამეთუ კონკურენცია თავად მკვეთრად მძაფრი და ხისტია სრულიად სამყაროში.

Benchmarking-ით დადასტურდა, რომ უკვე ბესტსელერადაა აღიარებული შემდეგი ისეთი სპეციალობები, როგორიცაა ბიზნესის ადმინისტრირების, სამართლისა და ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო მიმართულება, რომლებიც წარმოადგენს ერთ - ერთ ყველაზე მოთხოვნად სპეციალობებს შრომით ბაზარზე, რამეთუ ამ სპეციალობებით დასაქმების მაჩვენებელი მზარდია და ამავდროულად, შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე პირს/პირებს შეუძლიათ დასაქმდნენ როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში. შესაბამისად, თანამედროვე შრომით ბაზარზე თითქმის არ არსებობს სფერო, სადაც ამ სფეროთა კურსდამთავრებული ვერ დასაქმდება. და ასევე, ამ საგანმანათლლებლო საბაკალავრო პროგრამათა პრივილეგირებული პოზიციის არსებობა ორიენტირებულია დამსაქმებლების საჭიროებებზე ქვეყნის შიგნით თუ ქვეყნის გარეთ. ამ სპეციალობებზე მოთხოვნის არსებობას ადასტურებს ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც განხილულია ჩვენს მიერ, სადაც ეს ფაკულტეტები/სკოლები წარმატებულად ფუნქციონირებენ აკრედიტირებულ რეჟიმში და მეტიც, უსდ-ის შესაბამისმა ნაწილმა კლასტერული აკრედიტაციაც კი გაიარა, რაც ცალსახად ნიშნავს ამ სპეციალობათა რეალური მოთხოვნის არსებობას.

Benchmarking-ის ჩატარების მიზნით შერჩეულ იქნა სახელმწიფო და კერძო უსდ-ები, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ "ვებომეტრიქსის" რეიტინგის მიხედვით, რომელიც ერთ - ერთი ყველაზე ცნობილი საერთაშორისო ორგანიზაციაა და იკვლევს უნივესიტეტების სამეცნიერო წარმატებას და მათი ონლაინ რესურსების გავლენიანობას (https://www.webometrics.info/en/europe/georgia%20):

სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ტოპ სამეული:

I. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

II. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;

III. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ) - აღსანიშნავია, რომ კონკურენტული უპირატესობითა და რეიტინგებით პირველი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება საგანმანათლებლო სივრცეში აღიარდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ) და შეფასდა, როგორც ერთადერთი უნივერსიტეტი საქართველოდან, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების 1,5%-ში შედის. აქვე აღსანიშნავია, რომ კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი 1918 წლის 26 იანვარს (ახალი სტილით, 8 თებერვალს), დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს გაიხსნა. უნივერსიტეტის პირველ რექტორად, ივანე ჯავახიშვილის წინადადებით, პროფესორთა საბჭომ პეტრე მელიქიშვილი აირჩია, თავად ივანე ჯავახიშვილი სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტს ჩაუდგა სათავეში. 1989 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მისი დამაარსებლის - ივანე ჯავახიშვილის სახელი მიენიჭა.

გარდა ლიდერი კონკურენტული უპირატესობისა უმნიშვნელოვანესია Benchmarkingით დადგენილი ვალიდურობა, რომ რეიტინგებით პირველი, თავად პრიორიტეტების განმსაზღვრელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სულ არსებული შვიდი ფაკულტეტიდან დომინანტ ფაკულტეტებად აღიარებულია ეკონომიკისა და ბიზნესის, სამართლისა და ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო მიმართულებები. ასევე, სამედიცინო ფაკულტეტიც, რომელიც ამ ეტაპზე ჩვენი ანალიზის მიზანს არ წარმოადგენს. ანუ თსუ-ს შვიდი ფაკულტეტიდან, რომელშიც 22 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს, სამი დომინანტი ფაკულტეტია, რომლებიც უნივერსიტეტში იქნა განხორციელებული შრომითი ბაზრის ანალიზისა და კონკურენტების ემპირიული კვლევის შედეგად და ყველა ეს მიმართულებები აკრედიტირებულ რეჟიმშია. Benchmarking-ის მიზნობრიობა უნივერსიტეტში განისაზღვრა არსებული აკრედიტირებული საგანმანათლებლო პროგრამების ანალოგებთან დადარების გზით, რათა შემუშავებულიყო და შესაძლებელი გამხდარიყო მოდერნიზებული ევროპული განზომილების თავსებადობა ანალოგ პროგრამებთან.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო, ასევე მოკლე და გრძელვადიანი სასერტიფიკატო პროგრამები ხორციელდება. უცხოეთის ქვეყნების უნივერსიტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე ყველა სტუდენტს შესაძლებლობა აქვს მონაწილეობა მიიღოს გაცვლით და ერთობლივ საერთაშორისო სასწავლო პროგრამებში და მოიპოვოს ორმაგი აკადემიური ხარისხი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შთამბეჭდავ რაოდენობას ფაკულტეტების მიხედვით, წარმოადგენს მოცემული სტატისტიკა:

- ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი - 42 აკადემიური და მოწვეული პერსონალი;
- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი - 106 აკადემიური და მოწვეული პერსონალი;
- იურიდიული ფაკულტეტი - 70 აკადემიური და მოწვეული პერსონალი;
- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი - 149 აკადემიური და მოწვეული პერსონალი;
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 179 აკადემიური და მოწვეული პერსონალი;
- სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 67 აკადემიური და მოწვეული პერსონალი;
- მედიცინის ფაკულტეტი - 54 აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

შენიშვნა: Benchmarkingით მოცემული სტატისტიკური მონაცემები მუდმივად ცვლადია.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხედვას წარმოადგენს, რომ 2024 წლისათვის ბლუმბერგის კვლევით ცენტრთან ერთად (ბლუმბერგის ცენტრი მხოლოდ თსუ - ს კუთვნილებაშია) უზრუნველყოფილი იქნას:

- საგანმანათლებლო პროგრამების საზოგადოების მოთხოვნებთან და შრომის ბაზართან ჰარმონიზაცია, მათ შორის მუდმივად განვითარებადი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით;
- ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების გაზრდილი რაოდენობა;
- საგანმანათლებლო, კვლევითი და ადმინისტრაციული პროცესების ინტერნაციონალიზაცია.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტი - ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის სპეციფიკის გათვალისწინებით ერთსაფეხურიანი კვალიფიკაციებისათვის საუკეთესო გამოცდილების იდენტიფიცირებისათვის მოძიებულ და დადარებულ იქნა რეიტინგით მეორე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტი. აღსანიშნავია, რომ 1928 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გამოეყო პოლიტექნიკური ფაკულტეტი და მის ბაზაზე დაარსდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. სტუ შეფასდა მისი ძირითადი ღირებულებებისა და ხედვების საფუძველზე. განხილულ იქნა შესაბამისი საბაკალავრო საგანმანათლო პროგრამები. გაანალიზებულ იქნა ის ქმედებები და პროცესები, რომლითაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი Webometrics - უნივერსიტეტების

საერთაშორისო სარეიტინგო სისტემის მიხედვით რეიტინგებით გაზომილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მეორე ადგილზე გავიდა უმოკლეს ვადაში. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ უსდ-მ განახორციელა და შესაბამისობაში მოიყვანა სტანდარტის მთელი რიგი კომპონენტები, გააძლიერა სუსტი მხარეები, გაიზიარა საერთაშორისო გამოცდილებები, რამაც საუკეთესო შედეგზე გაიყვანა მოკლე პერსპექტივაში. მის სუსტ მხარედ კლავ რჩება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა კვლევითი პროდუქტულობის კომერციალიზაციის გაზრდის მიზნით, რაც მაღალრეიტინგულ ჟურნალში გამოქვეყნების მაჩვენებლების ნაკლებობით აღინიშნება.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი - სტუ - სგან განსხვავებით მნიშვნელოვანი იყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცდილების გააზრება იმ რაკურსით, რომ თუ სტუ-მ მინიმალურ დროში შეძლო რეიტინგით მეორე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რანგში წარმდგარიყო, რა გახდა მიზეზი, რომ ესოდენ დიდი მიღწევებისა და წარმატებული გამოცდილების მქონე უსდ-მ ლიდერი პოზიცია სტუ-ს დაუთმო. გასააზრებლად მნიშვნელოვანი იყო შეგვეფასებინა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომლის შედეგები 2014 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების მიხედვით, ვაკანტური ადგილების შევსების მაჩვენებლის შესაბამისად, თავისი პროფილის სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებს შორის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი მეორე ადგილს იკავებდა. ილიაუნი ასევე ლიდერულ პოზიციებზე იყო აბიტურიენტების არჩევანის მიხედვითაც - აბიტურიენტთა რეგისტრაციის მაჩვენებლების მიხედვით, პირველ არჩევნად ყველაზე პოპულარული ილიაუნის ბიზნესის, სამართლის, ფილოსოფიის, ქართული ფილოლოგიისა და ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამებია. ილიაუნის სამართლის საბაკალავრო პროგრამა სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის არსებულ მსგავს პროგრამებში, აბიტურიენტთა პირველი არჩევანის მიხედვით, პირველ ადგილზეა.

ასევე, განხორციელდა კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების Benchmarking-იც რეიტინგების პირველი ათეულიდან:

- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი - „ჯიპა“;
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი - „IBSU“;
- ალტე უნივერსიტეტი;
- ახალი უმაღლესი სასწავლებელი - „ნიუუნი“ (კოლეჯი).

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი „GIPA“ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი „ჯიპა“ დაარსდა 1994 წელს და ის მოიცავს 10 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას, რომლებიც გაერთიანებულია შემდეგ სკოლებში:

1. მმართველობის სკოლა;

2. ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლა;

3. სამართლისა და პოლიტიკის სკოლა;

4. სოციალურ მეცნიერებათა სკოლა.

დღესდღეობით GIPA 3000-მდე კურსდამთავრებულს ითვლის, რომელთა 90% წარმატებით საქმიანობს საჯარო და ბიზნეს სექტორში, კერძო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში. საგანმანათლებლო პროგრამებისა და ტრენინგ კურსების პარალელურად, GIPA წარმატებით ახორციელებს სხავდასხვა ტიპის პროექტებს, მართავს პირველ ინგლისურენოვან სტუდენტურ რადიოს საქართველოში, რომელიც მაუწყებლობს სიხშირეზე FM 94.3 (RADIO GIPA), აგრეთვე, პერიოდულად მასპინძლობს შეხვედრებს და მართავს დებატებს აქტუალურ საკითხებზე კლუბში „ფრონტლაინ ჯორჯია“.

გაანალიზდა GIPA-ს ძირითადი სტრატეგიები, შეფასდა მათი საგანმანათლებლო პროგრამები, პროგრამის საჭიროებები და განხორციელდა ევროპული განზომილებების იდენტიფიცირება კურიკულუმით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევის დონეების გასაანალიზებლად. GIPA-ს ძლიერი მხარეა მაღალი საზოგადოებრივი ცნობადობა და პრესტიჟი, ძლიერი საერთაშორისო კავშირები და პროექტების მრავალფეროვნება. აკადემიური და მოწვეულ პროფესორთა საერთო რაოდენობა ყველა ფაკულტეტზე ასე გამოიყურება:

- სულ აკადემიური პერსონალი - 92;
- სულ მოწვეული პერსონალი - 200.

შავი ზღვის უნივერსიტეტი - „IBSU“ (დაარსების წელი: 1995) - შავი ზღვის უნივერსიტეტი ახორციელებს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს, რომელთა შორის დომინანტ პოზიციაზეა ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამა ქართულ და უცხოურ ენაზე, სამართლის პროგრამა ქართულ და უცხოურ ენაზე. უნივერსიტეტი ორიენტირებულია წარმატებული და მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებისათვის გაცვლითი პროექტებში ჩართულობაზე. მას გააჩნია მედია ცენტრი - Ibsu ბლოგი.

აკადემიური და მოწვეულ პროფესორთა საერთო რაოდენობა ყველა ფაკულტეტზე ასე გამოიყურება:

კომპიუტერული მეცნიერებისა და არქიტექტურის სკოლა:

აკადემიური პერსონალი - 9;

მოწვეული პერსონალი - 22.

ბიზნესის სკოლა

აკადემიური პერსონალი - 24;

მოწვეული პერსონალი - 61.

განათლების, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების სკოლა

აკადემიური პერსონალი - 38;

მოწვეული პერსონალი - 78.

სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლა

აკადემიური პერსონალი - 20;

მოწვეული პერსონალი - 21.

ალტე უნივერსიტეტი (ყოფილი „ღია უნივერსიტეტი“) - დაარსდა 2000 წელს - „ალტე უნივერსიტეტი“ ახორციელებს 12 აკადემიურ პროგრამას, როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო საფეხურებზე: ფსიქოლოგია, ბიზნეს ადმინისტრირება სამართალი და სხვა. უნივერსიტეტს გააჩნია: გაცვლითი პროგრამები ევროპის, აზიისა და კავკასიის რეგიონის პარტნიორ უნივერსიტეტებთან. „ალტე“ უნივერსიტეტის პრიორიტეტებია: „უნივერსიტეტის ფონდის“ მიერ სწავლის სრული დაფინანსება მაღალი აკადემიური მოსწრების შემთხვევაში და დასაქმების ხელშეწყობა „სტუდენტთა წარმატების სამსახურის“ აქტიური ჩართულობით. უნივერსტეტში ერთ - ერთ უმნიშვნელოვანეს სეგმენტს წარმოადგენს ჩინური ენის უფასო კურსების შეთავაზება სტუდენტებისათვის „კონფუცის ინსტიტუტში“ და ასევე, გაცვლით პროგრამებს ევროპისა და აზიის წამყვან უნივერსიტეტებში. ხოლო, რაც შეეხება აკადემიური პერსონალის რაოდენობას, ის ასე გამოიყურება:

საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) სკოლა:

აკადემიური პერსონალი - 8.

მედიცინის საერთაშორისო სკოლა:

აკადემიური პერსონალი - 7.

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა:

აკადემიური პერსონალი - 14.

სამართლის სკოლა:

აკადემიური პერსონალი - 18.

ბიზნესის სკოლა

აკადემიური პერსონალი - 10.

შენიშვნა: აკადემიურ და მოწვეულ პროფესორთა რაოდენობა მოცემულია 2021 - 2022 წლის მონაცემებით.

ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ,,ნიუუნი'' შეიქმნა 2013 წელს - ყველაზე პრიორიტეტულ საჭიროებას წარმოადგენდა განგვეხორციელებინა ახალი უმაღლესი სასწავლებელის Benchmarking-ი. იგი წარმოადგენს კოლეჯს და საგანმანათლებლო ბაზარზე პოზიციონირებს მხოლოდ ბიზნესის ადმინისტრირების, ტურიზმის და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით.

Benchmarking-ით გამოვლინდა ევროპაში საუკეთესო გამოცდილების და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მქონე ინსტიტუციები, სადაც გათვალისწინებულ იქნა რანჟირების შესაბამისი კრიტერიუმები:

I. QS რეიტინგი საუკეთესო უნივერსიტეტების მიხედვით;

II. Times Higher Education - ის მსოფლიო უნივერსიტეტების რეიტინგი;

III. საგანმანათლებლო პროგრამულ აკრედიტაცია.

საერთაშორისო უსდ-ები:

Oxford University - ოქსფორდის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი https://www.ox.ac.uk/ დაარსების წელი: დაარსების ზუსტი თარიღი არ არსებობს, თუმცა ოქსფორდში გარკვეული ფორმით სწავლება არსებობდა 1096 წლიდან.

ოქსფორდის უნივერსიტეტი მსოფლიოს ერთ - ერთი უდიდესი და მუდმივად პირველ ათეულში მყოფი უნივერსიტეტია თავის რიცხოვნობითა და პროგრამების რაოდენობის მიხედვით. ოქსფორდის უნივერსიტეტის კონცეპტუალური მიდგომის ერთ - ერთი ძირითადი საზომია ხარისხის განვითარების

ქვაკუთხედი, რომელიც წარმოადგენს რელევანტურობის, მობილობის და მიმზიდველობის მნიშვნელოვან პირობას. ოქსფორდის უნივერსიტეტის ძლიერ მხარეს წარმოადგენს იურიდიული სკოლა/ფაკულტეტი, რაც აპრიორი განაპირობებს მის ლიდერობას მსოფლიო მასშტაბით. ოქსფორდის უნივერსიტეტი წარმოადგენს ოცდაათი იურიდიული სკოლის ფედერაციას. სამართლის მეცნიერები კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში არიან ფაკულტეტის წევრები და ისინი კოორდინაციას უწევენ და მხარს უჭერენ 143 აკადემიკოსის სწავლების პროცესს. მათი სტანდარტული სტრუქტურის საშუალებით, ამ ფაკულტეტს შეუძლია მხარი დაუჭიროს, ასწავლოს და გამოიკვლიოს სტუდენტების მრავალფეროვანი და გამორჩეული ჯგუფი მთელი მსოფლიოდან. მათი შესანიშნავი პროგრამების გამო, სტუდენტის - აკადემიურ პერსონალთან თანაფარდობა არის დაახლოებით 7:1, რაც მართლაც საუკეთესო ინდიკატორია. გარდა სამართლის უძლიერესი სკოლისა და შესაბამისი მიმზიდველობისა ოქსფორდის უნივერსიტეტი ახორციელებს ფსიქოლოგიისა და ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის პროგრამებს. ოქსფორდის ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის დეპარტამენტი განიხილება, როგორც ერთ-ერთი წამყვანი ფსიქოლოგიის დეპარტამენტი დიდ ბრიტანეთში. ამჟამად, განსაკუთრებით ძლიერი ჯგუფებია ადამიანის შემეცნებითი პროცესების, ნეირომეცნიერების, ენის, განვითარების, სოციალური ფსიქოლოგიის და ფსიქოლოგიური დარღვევების სფეროებში. საინტერესოა ის რეალობა, რომ ოქსფორდის უნივერსიტეტი საბაკალავრო საგანმანათლებლო საფეხურზე ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამას არ ახორციელებს, თუმცა სწავლება ბიზნესის ადმინისტრირებაზე ხორციელდება მხოლოდ სამაგისტრო საფეხურზე. მაგრამ აღსანიშნავია, რომ საბაკალავრო პროგრამას ახორციელებს ეკონომიკისა და მენეჯმენტის მიმართულებით.

Cambridge University - კემბრიჯის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი დაარსების წელი: პირველი კოლეჯი კემბრიჯში დაარსებულია ელის ეპისკოპოსის მიერ 1284 წელს.

კემბრიჯის უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების პრიორიტეტულობას განაპირობებს ისეთი მიმართულებების არსებობა, როგორიცაა ფსიქოლოგიური და ქცევითი მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამები. სამართალის საბაკალავრო პროგრამა, კემბრიჯში მეცამეტე საუკუნიდან ხორციელდებოდა. ევროპის ყველა უნივერსიტეტში იურიდიული შესწავლის ძირითადი საგნები იყო სამოქალაქო სამართალი (ძველი რომის კანონი) და ეკლესიის კანონიკური სამართალი. უნივერსიტეტის სამართლის საზოგადოება ღიაა უნივერსიტეტის ყველა წევრისთვის და განსაკუთრებით სამართლის ყველა სტუდენტისთვის და მათთვის, ვისაც სურს გააგრძელოს წარმატებული იურიდიული კარიერა. საზოგადოებას ჰყავს მთავარი ოფიცრები, რომლებიც არიან სამართლის სტუდენტები და ისინი სთავაზობენ წევრებს მრავალფეროვან შესაძლებლობებს, როგორც აკადემიური, ასევე სოციალური თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ კემბრიჯის უნივერსიტეტი არ ახორციელებს ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამას საბაკალავრო საფეხურზე, თუმცა ახორციელებს მენეჯმენტის კვლევების საბაკალავრო პროგრამას, რომელიც მოიცავს 6 (ექვსი) ძირითად სფეროს:

- ფირმებისა და ბაზრების ეკონომიკა;
- ფინანსები და ბუღალტერია;
- მარკეტინგი;
- ოპერაციების მართვა; ორგანიზაციული ქცევა;
- რაოდენობრივი მეთოდები.

კემბრიჯის უნივერსიტეტი მუდმივად ორიენტირებულია კვლევებზე, რადგან კვლევა თანამედროვე ეპოქაში უმაღლესი განათლების მამოძრავებელი ძალაა.

Michigane State University - მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტი (,,MSU''). მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ამერიკის უნივერსიტეტთა ასოციაციის წევრი და მსოფლიოს ტოპ 100 უნივერსიტეტს შორის ერთ - ერთი უნივერსიტეტია. მისი დაფუძნების წელია 1855. ის ცნობილია ტრადიციულად ძლიერი აკადემიური დისციპლინებითა და პროფესიული პროგრამებით. მიჩიგანის უნივერსიტეტის ძირითადი მისიაა განავითაროს ცოდნა სტუდენტებისა და შეცვალოს მათი ცხოვრება კარიერული წინსვლისათვის.

MSU მოწოდებულია ჩამოაყალიბოს უსაფრთხო და ინკლუზიური საზოგადოება, რომელიც ხასიათდება სხვების მიმართ ზრუნვით და პატივისცემით.

მიჩიგანის უნივერსიტეტი აერთიანებს 17 კოლეჯს, 400 საბაკალავრო, სამაგისტრო და სასერთიფიკატო პროგრამას. სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ სასურველი ფაკულტეტი საკუთარი კარიერული ინტერესებიდან გამომდინარე.

University College London, UCL - დიდი ბრიტანეთი განსაკუთრებული ყურადღებით იქნა შესწავლილი მისი სტატუსიდან გამომდინარე. University College London - ის ძლიერ მხარედ მოიაზრება ფილოსოფიური კვლევების მდიდარი მემკვიდრეობა, რასაც კვლავ წარმატებით ახორციელებენ. აღნიშნული კომპონენტი კი, მსოფლიო მასშტაბითაა პრიორიტეტული, როგორც განათლების მამოძრავებელი ძალა. ლონდონის გულში, გლობალურ იურიდიულ დედაქალაქში მდებარე UCL მუდმივად იზიდავს უნიკალურ და მრავალფეროვან საერთაშორისო სტუდენტებსა და პერსონალს. მათი შრომისმოყვარეობის გამო, მათ კვლევას აქვს მსოფლიო გავლენა, აყალიბებს იურიდიულ და სასამართლო პოლიტიკას დიდ ბრიტანეთში და მთელ მსოფლიოში. UCL მუდმივად რეიტინგულია, რადგან მათ მიიღეს უმაღლესი შეფასება კვლევების მიმართულებით და ასევე, მაღალი რეიტინგით სარგებლობენ სტუდენტთა გამოკითხვებში.

London Kings College - ლონდონის კინგსის კოლეჯი წარმოადგენს მეოთხე უძველეს უნივერსიტეტს ინგლისში. კოლეჯი წარდგენილია 31000-ზე მეტი სტუდენტით 150მდე ქვეყნიდან და 8500-ზე მეტი თანამშრომლით. კინგის კოლეჯი მუდმივ რეჟიმში სთავაზობს სტუდენტებს საბანკო საქმის, საგადასახადო საქმის, სამეწარმეო კომპანიებისა და სხვათა პროფილების პროფესიულ შესწავლას, რაც მათ ინოვაციურ და კონკურენტულ ბუნებაზე მეტყველებს. ისინი სტუდენტებს უზრუნველყოფენ არამარტო ხარისხიანი სწავლებით, არამედ განხორციელებული კვლევებით და ასევე, შეთავაზებული ტრენინგ პროგრამებით.

The University of Edinburgh - ედინბურგის უნივერსიტეტი https://www.ed.ac.uk/). მსოფლიოში წამყვანი ინსტიტუცია, რომელიც ჩამოყალიბდა მრავალი საუკუნის წინ (ედინბურგის უნივერსიტეტი ოფიციალურად გაიხსნა 1583 წელს) ღირებულებებითა და რწმენითი ფასეულობებით, სრულყოფილებისადმი ერთგულებით და თანამშრომლების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების წარმატებებითა და სხვა მიღწევებით. ედინბურგის უნივერსიტეტში დაფუძნებულია სამართლის სკოლა, რომელიც გავლენას ახდენს სამოქალაქო ცვლილებებზე, როგორც ადგილობრივ, ასევე გლობალურ დონეზე. მსოფლიო უნივერსიტეტების რეიტინგის მიხედვით ედინბურგის უნივერსიტეტის რეპუტაცია დამსაქმებლებთან არის შთამბეჭდავი და აღწევს 97.2%-ს. ედინბურგის უნივერსიტეტი ახორციელებს ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას, რომელსაც აქვს საუკეთესო რეპუტაცია კვლევის, სწავლებისა და სტუდენტების მხარდაჭერის სფეროში. ედინბურგის უნივერსიტეტს აქვს ძლიერი ბიზნეს სკოლა, რომელიც ახორციელებს სხვადასხვა პროგრამებს ბიზნესის მიმართულებით და სადაც ასწავლიან მსოფლიოში წამყვანი ინდუსტრიის პროფესიონალები და მკვლევარები. ედინბურგის უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლა ამზადებს სტრატეგიული ლიდერების მომდევნო თაობას.

Queen Mery University of London - ლონდონის დედოფალ მერის უნივერსიტეტი https://www.qmul.ac.uk/. ლონდონის დედოფალ მერის უნივერსიტეტი დაარსდა 1785 წელს და აქვს გამორჩეული ისტორია. ლონდონის დედოფალ მერის უნივერსიტეტი არის გაერთიანებული სამეფოს ერთ - ერთი წამყვანი კვლევაზე ორიენტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. დედოფალ მერის უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს მაღალი ხარისხის სწავლის გამოცდილებასა და ხელმისაწვდომობას. ლონდონის დედოფალ მერის უნივერსიტეტში არსებობს ცალკე დამოუკიდებელი ბიზნესისა და მენეჯმენტის სკოლა, რომლის მიზანია პასუხისმგებლიანი მომავალი ლიდერების შექმნა პრობლემების ინტერპრეტაციის, ანალიზისა და ინოვაციური გადაწყვეტილებების მიღების უნარებით. ლონდონის დედოფალ მერის უნივერსიტეტში ცალკე არსებობს ასევე, დამოუკიდებელი ფსიქოლოგიის სკოლა, სადაც ფსიქოლოგია ისწავლება ბიოლოგიური და ქცევითი მეცნიერებების სკოლის ფარგლებში. დედოფალ მერის უნივერსიტეტი „ნეუ ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტისათვის“ ყველაზე საუკეთესო ქეისი აღმოჩნდა, ვინაიდან ის უნივერსიტეტის რეალობას სტუდენტთა კონტიგენტითაც ემთხვევა. 1965 წელს დაარსებული სამართლის სკოლა გაიზარდა 30 სტუდენტიდან და ოთხი აკადემიური პერსონალიდან 2000 - ზე მეტ სტუდენტამდე და 130 აკადემიურ პერსონალამდე 2020 წელს. მათი თანმიმდევრული ზრდა აიძულებს მათ შევიდნენ ევროპის საუკეთესო სამართლის სკოლების სიაში. სამართლის სკოლის ძირითადი

აქტორებია სამართლის დეპარტამენტი და კომერციული სამართლის კვლევის ცენტრი (CCLS).

Catholic University of Louvane - კათოლიკური უნივერსიტეტი, ბელგია 1425 წელს დაარსებული. ლოუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი წარმოადგენს მსოფლიოში ერთ - ერთ უძველეს უნივერსიტეტს, რომელიც ასევე აკმაყოფილებს უდიდეს თანამედროვე სამეცნიერო მოთხოვნებს. 2012 წელს 365 მილიონი ევროს კვლევით დანახარჯით, ლოუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი არის წამყვანი კვლევითი უნივერსიტეტი ევროპაში. მის ბევრ კურსდამთავრებულს უჭირავს სასიცოცხლო პოზიციები ბელგიის ცენტრალურ და რეგიონალურ საჯარო ადმინისტრაციაში და ევროპულ და საერთაშორისო საზოგადოებაში ბრიუსელში და სხვაგან.

Leiden University - ლეიდენის უნივერსიტეტი, ნიდერლანდები https://www.universiteitleiden.nl/en ლეიდენის უნივერსიტეტში მოქმედებს შვიდი ფაკულტეტი. ლეიდენის უნივერსიტეტი დაარსდა 1575 წელს და არის ერთ - ერთი წამყვანი საერთაშორისო კვლევითი უნივერსიტეტი ევროპაში. ის უმაღლესი რეიტინგის მქონე უნივერსიტეტია მრავალი წლის განმავლობაში. ის ლიდერობს ჰოლანდიის უნივერსიტეტების რეიტინგში და მსოფლიოს ტოპ 100 უნივერსიტეტს შორისაა. კვლევა და განათლება მჭიდრო კავშირშია ლეიდენის უნივერსიტეტში. ეს ნიშნავს, რომ სწავლებას ხშირად ახორციელებენ საუკეთესო მკვლევარები და ეს ნიშნავს, რომ მათი სტუდენტები ეცნობიან კვლევას პირველი კურსის დაწყებიდან. ლეიდენის უნივერსიტეტი ახორციელებს ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც გვთავაზობს სწავლების მრავალფეროვან ფორმატს, თანამედროვე ICT ინსტრუმენტებს და შერეულ სწავლებას საბაკალავრო პროგრამაში სწავლების მხარდასაჭერად. ლეიდენის უნივერსიტეტი არ ახორციელებს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას. თუმცა ახორციელებს ეკონომიკის, საჯარო მმართველობისა და მენეჯმენტის ერთობლივ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას.

University of Paris 1 Pantheon - Sorbonne - პარიზის პირველი პანთეონ - სორბონის უნივერსიტეტი გამოირჩევა იმით, რომ ისინი ასწავლიან ყველა იურიდიულ სასწავლო კურსს ინგლისურად. პანთეონ - სორბონის უნივერსიტეტი ცნობილია იურიდიული პრაქტიკოსებითა და მოწვეული მეცნიერებით, რომლებიც ლექციებს უკითხავენ სტუდენტებს და უზიარებენ პრაქტიკულ გამოცდილებას. უნივერსიტეტის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გაიარონ პრაქტიკული კურსი საფრანგეთის ყველაზე მნიშვნელოვან იურიდიულ ინსტიტუტებში, როგორებიცაა სენატი, ეროვნული ასამბლეა, საკონსტიტუციო საბჭო და სხვა.

Benchmarking-ით დადგინდა:

„ნეუ ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა ოქსფორდის უნივერსიტეტის კონცეფტუალური მიდგომა ხარისხის განვითარების ქვაკუთხედის მიმართულებით, რომელიც წარმოადგენს რელევანტურობის, მობილობის და მიმზიდველობის მნიშვნელოვან პირობას. უნივერსიტეტი, თავისი მოღვაწეობისა და სრული ავტონომიურობის ფარგლებში ეფუძნება რა ამ სტანდარტს ნაბიჯ -

ნაბიჯ მიყვება ამ რეალისტური ინდიკატორის საბოლოო მიზნამდე მიყვანას და სტუდენტთა მეექვსე დონისათვის შესაბამისი ცოდნისა და პრაქტიკული უნარების აკადემიურ გარემოში გადაცემას. აქვეა ხაზს გასასმელი, რეალური გარემო ფაქტორის უტყუარი დასტური, რომელიც „ნეუ ეროვნულმა საგანმანათლებლო უნივერსიტეტმა“ ამ ეტაპისათვის შეძლო და განახორციელა. 2018 წელს არსებული მხოლოდ ერთი აკადემიური საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამიდან - 2023 წელს შვიდ საგანმანათლებლო პროგრამას უპირო აკრედიტაცია მიენიჭა საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობით. ხოლო, მობილობის ხელშეწყობის მასშტაბს თუ გავაანალიზებთ, არა მხოლოდ კონკურენტ კოლეჯებთან მიმართებით, არამედ შესაბამის სასწავლო უნივერსიტეტების მასშტაბითაც კი, „ნეუ ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ მობილობის პროცესი ერთ - ერთი ყველაზე წარმატებულია რეგიონის მასშტაბით და მაჩვენებელთა დინამიკა მზარდია. ბოლოს, ის რებრენდინგი, რომელიც ინსტიტუციამ ამ მოკლე პერიოდში განახორციელა ნამდვილად არის არა მხოლოდ ხარისხის კულტურის განვითარების ქვაკუთხედი, არამედ წარმოადგენს კონკურენტული უპირატესობის მოპოვების საუკეთესო მაგალითს.

გარდა ინსტიტუციურ სტანდარტთა იდენტიფიცირებისა Benchmarking-ით შეფასდა „ნეუ ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ ყველა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების დადარება კურიკულუმით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების შესაბამისად.

Benchmarking - ის შედეგად გამოიკვეთა უნივერსიტეტის ძლიერი მხარეები - შრომის ბაზარზე მოთხოვნადი საგანმანათლებლო პროგრამები, ძლიერი „ინტელექტუალური“ რესურსის არსებობა, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობის საუკეთესო ინდიკატორი, ძლიერი „ინტელექტის გადინების“ დაბალი მაჩვენებელი;Life long learning; საუკეთესო ინფრასტრუქტურა, კამპუსი ქალაქის ცენტრში და საუკეთესო ლოკაცია; თანამდეროვე მატერიალურ - ტექნიკური ბაზა.

Benchmarking - ის შედეგად გამოიკვეთა უნივერსიტეტის გასაუმჯობესებელი მხარეები - სამეცნიერო კვლევები, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გაძლიერება, ადგილობრივი და უცხოელი პრაქტიკოსი პერსონალის მოზიდვა, მესამე მისიის ხარისხის და რელევანტურობის გაუმჯობესება.

Benchmarking-ით მიღებული დასკვნების საფუძველზე განხორციელდა საუკეთესო გამოცდილების გაზიარება და სისტემური საერთაშორისო პერსპექტივების დასახვა: ინტერდისციპლინური შეხედულებების გაზიარება, ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლო პროგრამების დამატება, სისტემური საერთაშორისო პერსპექტივების განხორციელება და ა.შ.

„ნეუ ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი“ არის ავტონომიური ადმინისტრაციული ორგანო ფუნდამენტური ისტორიული მემკვიდრეობით, განსაკუთრებული ფასეულობებითა და გრძელვადიანი სოციალური შესაძლებლობებით. Benchmarking-ით მიღებული შედეგები გასათვალისწინებელია და რიგ შემთხვევებში შესაძლებელია ფუნდამენტურ პრინციპებად მათი დასახვა, ვინაიდან „ნეუ ეროვნული

საგანმანათლებლო უნივერსიტეტი“ 1996 წლიდან საგნამანათლებლო სივრცეში გვევლინება ალმამატერ ინსტიტუციად და უნივერსიტეტში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამები წლების განმავლობაში წარმოჩენილ იქნა პრიორიტეტულ მიმართულებად.

Benchmarking - ის პარამეტრების შერჩევა ხორციელდებოდა შედარებისთვის. ეს შეიძლება ყოფილიყო არაერთი კრიტერიუმი, როგორიცაა ჩვენი კვლევის შემთხვევაში; შეგროვებული ინფორმაცია გულდასმით გაანალიზდა და შემუშავდა ცვლილებების პროექტი, რომელიც შედის მის ფუნქციაში; განხორციელდა ცვლილებები ინსტიტუციურ და პროგრამულ დონეზე და ასევე, მიმდინარეობს დაგეგმილი ცვლილებების მომზადება; ცვლილებები ხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიურ და პრაქტიკულ საქმიანობაში.

დასკვნა:

ადგილობრივი და უცხოური უნივერსიტეტების საგანმანათლებლო განზომილებების იდენტიფიცირებით განისაზღვრა მნიშვნელოვანი პრიორიტეტები:

პირველი - „ნეუ ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ ძირითადი ფასეულობაა მუდმივი სწრაფვა ცვლილებებისკენ, არსებული საზღვრების მიღმა ხედვა და ახალი გამოწვევებისკენ სწრაფვის პარალელურად, ვიყოთ საუკეთესოები იმ საქმეში, რასაც ვაკეთებთ.

მეორე - ლოუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის და სხვათა ანალოგად „ნეუ ეროვნულ საგანმანათლებლო უნივერსიტეტს“ გააჩნია საჯარო და კერძო სექტორში დასაქმების ხანგრძლივი ტრადიცია.

მესამე - უცხოური ინსტიტუციების უმრავლესობა დიდი ტრადიციების მქონე უნივერსიტეტებია, რომლებიც დაარსების არაერთ საუკუნეს მოიცავს (მაგ.: პირველი კოლეჯი კემბრიჯში, ლეიდენის უნივერსიტეტი, ლონდონის კინგს კოლეჯი და სხვა), ხოლო „ნეუ ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი“ რეგიონის მასშტაბით ერთ - ერთ პირველ კერძო ინსტიტიციას წარმოადგენს, რომელსაც საგანმანათლებლო სფეროში არსებობის საუკეთესო გამოცდილება გააჩნია სხვა კერძო უმაღლეს დაწესებულებებთან მიმართებით. „ნეუ ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი“ მიმდინარე მდგომარეობით 2800 - ზე მეტ კურსდამთვარებულს ითვლის რომელთაგან 90% წარმატებით საქმიანობს საჯარო და ბიზნეს სექტორში, კერძოდ, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში, ხოლო მათ შორის დარგის შესაბამისად დასაქმებულია კურსდამთვარებულთა 68%.